1958/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 3 (84) ივნისი 1958 წ.

## შინაარსი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგმასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

2. მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების საგარეჯოს რაიონის, გორისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომებში.

3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების პროექტის შესახებ.

4. ბრძანებულება საქართველოს სსრ ბოლნისის რაიონში სოფელ რაჭის უბნის შექმნის შესახებ.

5. ბრძანებულება ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

6. ბრძანებულება ს შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი და დადგენილებანი

## 1. ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანსობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ

მოისმინა რა ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვ. ესარითაის მოხსენება ორგანსობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ორგანსობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს ჩატარებული აქვს გარკვეული მუშაობა. რაიონული და მთელი რიგი სასოფლო საბჭოების სესიები და აღმასკომების სხდომები ტარდება დადგენილ ვადებში, რომლებზეც იხილავენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხებს; დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საბჭოების აქტივი მონაწილეობას იღებენ ამ საკითხების მომზადებასა და განხილვაში. ერთგვაროვან გაუმჯობესებულია დეპუტატების ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე.

ამასთანავე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ როგორც შემოწმებით გამოირკვა, ზუგდიდის რაიონული და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომს მუშაობაში გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებები. სათანადოდ არ არის გაზრდილი სასოფლო საბჭოების როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საბჭოების ორგანსობრივ მუშაობას, ადგილი აქვს სესიებისა და აღმასკომების სხდომების მოწვევის ვადების დარღვევის ფაქტებს. მაგალითად, ინგირის სასოფლო საბჭოს 1957 წლის არჩევნების შემდეგ რვა თვის განმავლობაში არ ჩაუტარებია სესიის სხდომა, ხოლო აღმასკომის სხდომა—7 თვის განმავლობაში; ჭაქვინჯის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ჩუხუას განცხადებით 1957 წელს მათ თითქოს ჩატარებული აქვთ საბჭოს სესიები და აღმასკომის სხდომები, მაგრამ არ არსებობს ამის დამადასტურებელი არც ერთი ოქმი.

საბჭოების ყველა დეპუტატი არ ახორციელებს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვალდებულებას ამომრჩევლებისათვის ანგარიშგების შესახებ. 1957 წელს რაიონული საბჭოს 60 დეპუტატიდან, ამომრჩევლებისათვის ანგარიში მხოლოდ 17 დეპუტატს ჩაუბარებია, ხოლო ჩხორიის, რუხის, კორცხელის, ორჯონიკიძისა და ჭაქვინჯის სასოფლო საბჭოებში კი თავისი ამომრჩევლებისათვის არც ერთ დეპუტატს არ ჩაუბარებია ანგარიში. მოუგვარებელია ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების შესწავლა და არ არის დასახული სათანადო ღონისძიებები მათი განხორციელებისათვის. საბჭოების მუდმივი კომისიები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ. დეპუტატების ნაწილი არ არის ჩაბმული უმდივ კომისიებში და არ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას საბჭოების მუშაობაში, ხოლო ზუგდიდის რაიონული, კორცხელის, ინგირის, კახათის და ჭაქვინჯის სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები უმოქმედობენ. კორცხელის, ორჯონიკიძის, რიყის და რუხის სასოფლო საბჭოებში ადგილი აქვს მუდმივი კომისიების დებულების დარღვევას.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მიერ ორგანსობრივი მუშაობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტად გაშლის შედეგად, მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომის ორგანიზაცია და დაბალია შრომის დისციპლინა. რაიონის კოლმეურნეობებში შრომისუნარიან 13.716 კოლმეურნიდან, 1957 წელს შრომა-დღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 2.726 კოლმეურნეს, ანუ 20 პროცენტს, ხოლო 963 კოლმეურნეს, ანუ 7 პროცენტს სრულიად არ მიუღია მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში, ამასთან რაიონში არ შესრულდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის, უხეში საკვების დაგროვების და მეცხოველეობის პროდუქტიულობის 1957 წლის გეგმები.

რაიონის ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქალაქისა და სოფლების კეთილმოწყობას და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს. ჰაქვინჯის, ორჯონიკიძის, რიყის, კახათის და ზოგიერთ სხვა სასოფლო საბჭოში ცუდ მდგომარეობაშია სასოფლო გზები და ბოგირები, არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმებას, არ ამოწმებენ კოლმეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების და რაიაღმასკომის განყოფილებების მუშაობას, არ ისმენენ აღმასკომის სხდომებზე მათ მოხსენებებს.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა თავისი მუშაობა ვერ გარდაქმნა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1957 წლის 21 იანვრის დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს (ამხ. ვ. ესართიას) მიიღოს გადამჭრელი ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) გარდაქმნას რაისაბჭოს აღმასკომის ორგანიზმობრივი მუშაობა იმგვარად, რომ უზრუნველყოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის ამაღლება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში დასახულ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის; გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა სამეურნეო საქმიანობისადმი, განამტკიცონ წარმოებებში სასელმწიფოებრივი დისციპლინა, მოაწესრიგონ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაცია და უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების წარმატებით შესრულება;

ბ) გაუმჯობესოს საბჭოებისადმი ხელმძღვანელობა, უზრუნველყოს რაიონულ და ყველა სასოფლო საბჭოს მიერ სესიების და აღმასკომების სხდომების დადგენილ ვადებში ჩატარება, არ დაუშვას სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განსახილველი საკითხების მოუმზადებლად გატანა და მის მომზადება-განხილვაში ფართოდ ჩაბას დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი;

გ) აღმოფხვრას მუდმივი კომისიების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები და მათი მუშაობა წარმართოს საბჭოების მუდმივი კომისიების დებულების შესაბამისად;

დ) უზრუნველყოს, რომ ყველა დეპუტატმა პერიოდულად ჩაიბაროს ანგარიში ამომრჩეველს საბჭოსა და თავისი მუშაობის შესახებ და ქმედითი დახმარება გაუწიოს მათ ამ საქმის ორგანიზაციაში. მოაწესრიგოს ამომრჩეველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაწესების აღრიცხვა, შესწავლა, განხილვა და დასახოს საჭირო ღონისძიებანი მათ განსახორციელებლად;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საბჭოების და მათი აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას და შემოწმების შედეგების საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე მოსმენას;

ვ) სერიოზული ყურადღება მიაქციონ ქალაქისა და სოფლების კეთილმოწყობის საქმეს, ფართოდ გაშალონ მუშაობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის 3-წლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ამ საქმეში ფართოდ ჩაებას საბჭოების დეპუტატები, აქტივი და რაიონის მშრომელები, რისთვისაც ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოს შორის.

2. დაეკალოს ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს შეამოწმოს ჭაქვინჯის სასოფლო საბჭოში ფინანსიური ანგარიშწარმოების მდგომარეობა და მიიღოს ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

3. დაეკალოს ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ესართიას მოიწვიოს სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების და მდივნების თათბირი, რომელზეც განხილოს ეს დადგენილება და გააცნოს მათ საბჭოების მოვალეობანი და ამოცანები რაიონის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

4. დაეკალოს ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ესართიას ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინოს ანგარიში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1958 წლის 1 ნოემბრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 7 ივნისი.

## 2. მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების საგარეჯოს რაიონის, გორისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა მშრომელთა დეპუტატების საგარეჯოს რაიონის, გორისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომებში ერთგვაროვნად გაუმჯობესდა და მათი განხილვა ძირითადად კანონით დაწესებულ ვადებში ხდება.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რის შედეგადაც საგარეჯოს რაიაღმასკომში

მიმდინარე წელს შემოსულ მშრომელთა განცხადებების და საჩივრების 35 პროცენტი, გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომში შემოსული 26 პროცენტი და ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომში შემოსული 28 პროცენტი განხილულია და გაცემულია პასუხი კანონით დაწესებული ვადის დარღვევით.

საგარეჯოს რაისაბჭოს აღმასკომმა ა/წ. 5 თებერვალს კოლმეურნეობიდან არასწორად გარიცხვის შესახებ შემოსული მ. ბოჭორიძის განცხადება აღმასკომის სხდომაზე განიხილა მხოლოდ 28 მარტს, მაშინ როცა განცხადების შემოწმების შემდეგ აღმასკომმა ჩაატარა სამი სხდომა.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციიდან საგარეჯოს რაიაღმასკომში შემოსული ვ. ლომიძის საჩივარი, სოფელ სართიჭალის სავაჭრო მაღაზიაში ვაჭრობის წესების დარღვევის შესახებ, შესამოწმებლად გადაეცა ვაჭრობის განყოფილების გამგეს ამხ. ნავასარდოვს, რომელმაც საჩივრის შემოწმებისას მომჩივანს ახსნა-განმარტება არ მოსთხოვა და არც პასუხი აცნობა მას საჩივარზე.

სოფ. საგარეჯოს მცხოვრებ ი. ჩეკურიშვილის და ე. მარტიროზოვას რაიაღმასკომში შესული განცხადებები, მათთვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის შესახებ, განსახილველად გადაეგზავნათ კოლმეურნეობათა გამგეობებს პირველი 3 თვისა და მეორე 4 თვის დაგვიანებით.

გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში ჟურნალ „რაბოტნიცას" რედაქციიდან შემოსულ მ. სანაევას განცხადების პასუხი რედაქციას გაეგზავნა 3 თვისა და 10 დღის დაგვიანებით, ხოლო განმცხადებლისათვის პასუხი არ გაუციათ. 3 თვის დაგვიანებით ეცნობა პასუხი განცხადებაზე მოქ. ვ. სარქისიანს მისთვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მიცემის შესახებ. ორ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით იქნა გაცემული პასუხები, აგრეთვე ქ. გორში მცხოვრებ მოქ. მოქ. გ. კაკაშვილის, მ. აპრესოვის, რ. მჭედლიძის, ვ. გიგაიას და სხვათა განცხადებებზე.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც საჩივრის შემოწმებას ავალებენ იმ პირს, რომლის მიმართაც არის აღძრული საჩივარი. ასე, მაგალითად:

ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ვაჭრობის განყოფილების გამგეს ამხ. ბიჭაშვილს გადასცა მამხილებელი წერილი, რომელიც ეხებოდა პურკომბინატის მუშაკთა ბოროტმოქმედებას და თვით ბიჭაშვილიც იყო მხილებული, რომელმაც წერილი ყოველგვარი შემოწმების გარეშე ჩააკერა საქმეში.

შემოწმების დღისათვის ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას პასუხი არ ქონდა გაცემული მოქ. მოქ. გაბუნიას, ფოცხვერაშვილის, შეყილაძის, ჭუმბურიძის 1957 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეში შემოსულ განცხადებებზე და ღუღნიკაშვილის, ცუცქირიძის, ნადირაძის, ტაბატაძის, გულიაშვილის 1958 წლის თებერვალ-მარტის თვეში შემოსულ განცხადებებზე.

იმის შედეგად, რომ შემოწმებული საბჭოების აღმასკომები სისტემატურად არ ამოწმებენ და სუსტ კონტროლს უწევენ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობას, აღმასკომების განყოფილებებში და წარმოება-დაწესებულებებში მოწესრიგებული არ არის შემოსული განცხადებების აღრიცხვა, ადგილი აქვს განმცხადებლებისათვის პასუხის დაგვიანებით გაცემას, განცხადებების და საჩივრების აღმასკომებში დროულად დაუბრუნებლობას. ასე, მაგალითად: ჭიათურის პურკომბინატში გასულ წელს შემოსული 25 და მიმდინარე წელს შემოსული 28 განცხადება რეგისტრირებული არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომში დაბრუნებული არ იყო ამა წლის პირველ კვარტალში არქიტექტურის სამმართველოზე შესასრულებლად გაგზავნილი 20-ზე მეტი განცხადება და საჩივარი. აღმასკომები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ ამ ორგანოების ხელმძღვანელთა მიმართ და მათ მოსსენებებს პერიოდულად არ ისმენენ აღმასკომების სხდომებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საგარეჯოს რაიონის, გორისა და ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რისთვისაც:

ა) მტკიცედ დაიცვან სსრ კავშირის ციკის 1935 წლის 14 დეკემბრის დადგენილება „მშრომელთა საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ“ და გადაჭრით გაუმჯობესონ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმე; დროულად და ამომწურავად მისცენ პასუხი მშრომელებს მათ მიერ შემოტანილ განცხადებებზე და საჩივრებზე;

ბ) პერიოდულად განიხილონ აღმასკომების სადომებზე მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა წარმოება-დაწესებულებებში და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) მიიღონ სათანადო ზომები თანამდებობის იმ პირების მიმართ, რომლებიც გულისხმიერად არ ეკიდებიან მშრომელთა მოთხოვნებს, აპიანურებენ მათ განხილვას და უხეშად არღვევენ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განიილვის კანონით დადგენილ ვადებს;

დ) სერიოზული ყურადღება მიაქციონ აღმასკომებში და მათ ქვემდგომ ორგანოებში შემოსულ განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვის საქმეს, არ დასტოვონ აღრიცხვის გარეშე არც ერთი განცხადება და საჩივარი;

ე) მკაცრი კონტროლი დააწესონ ქვემდგომ ორგანოებისათვის გადაცემულ განცხადებებისა და საჩივრების რეგისტრაციის საქმეზე, დროულად მოსთხოვონ პასუხი იმ პირებს, ვისაც გადაცემული აქვს შესასრულებლად მშრომელთა განცხადებები და საჩივრები.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საგარეჯოს რაიონის, გორისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1958 წლის 1 სექტემბრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 7 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების პროექტის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულება.

2. გამოიცეს დებულება ქართულ ენაზე 200 ეგზემპლარი და რუსულ ენაზე 100 ეგზემპლარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 7 ივნისი.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიებისა

(დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წ. 7 ივნისის ბრძანებულებით)

### I. საერთო დებულებანი:

**მუხლი 1.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანოები, რომლებსაც ირჩევენ სესიებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რიცხვიდან კომისიის თავმჯდომარისა და წევრების შემადგენლობით.

მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევენ კომისიის სხდომაზე.

**მუხლი 2.** მუდმივი კომისიები აირჩევიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების გასვლამდე და ისინი მთელ თავის მოღვაწეობაში ანგარიშვალდებულნი არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე.

**მუხლი 3.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, საპიროების შემთხვევაში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს ქმნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

**მუხლი 4.** ცვლილებას მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ახდენს მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

**მუხლი 5.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წევრები.

**მუხლი 6.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომებს იწვევენ კომისიის თავმჯდომარეები საპიროების შემთხვევაში, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ არანაკლებ ერთი სხდომისა კვარტალში და ისინი უფლებამოსილად ეთვლებიან, თუ მათ სხდომას ესწრება კომისიის შემადგენლობის ორი მესამედი.

მუდმივი კომისიების გადაწყვეტილებანი მათ მიერ განხილულ საკითხებზე მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით.

## II. მუდმივი კომისიების ამოცანები:

**მუხლი 7.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები იქმნებიან, რათა რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებაში, აგრეთვე დაეხმარონ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულებაში, რესპუბლიკის მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში, საბჭოთა სახელმწიფო მმართველობაში მშრომელთა მასების შემდგომ ჩაბმაში, საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და მშრომელთა შორის კავშირის განმტკიცებასა და რესპუბლიკის წინაშე მდგარი სხვა ამოცანების შესრულებაში.

**მუხლი 8.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების ძირითადი ამოცანებია:

ა) ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონებისა და დადგენილებების, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების და მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას.

ბ) კონტროლი გაუწევონ, როგორ ასრულებენ საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე თანამდებობის პირები საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონებსა და დადგენილებებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებსა და დადგენილებებს.

გ) შეამოწმონ საქართველოს სსრ სამინისტროების, სახალხო მეურნეობის საბჭოსი და წულებათა მოღვაწეობა და შეიტანონ თავისი წინადადებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად, ხოლო სესიებს შორის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

დ) მისცენ დასკვნა იმ საკითხებზე, რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად, აგრეთვე გამოსვლა თანამოხსენებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე ან პრეზიდიუმის სხდომებზე მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების გარშემო.

ე) დააყენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს წინაშე სამეურნეო და კულტურული მშენებლობიდან გამომდინარე ახალი საკითხები, აგრეთვე საყოფაცხოვრებო პირობების დაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებები.

ვ) ფართოდ ჩაბაბან მუდმივი კომისიების მუშაობაში საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, აგრეთვე აქტივი და სპეციალისტები სასოფლო-სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდგომი განვითარების საქმეში დასმული ამოცანების ცხოვრებაში დაჩქარებით განსორციელებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## III. მუდმივი კომისიების უფლებანი და მოვალეობანი.

**მუხლი 9.** მუდმივი კომისიები მოქმედებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დავალებით ან საკუთარი ინიციატივით და უფლება აქვთ:

ა) მოსთხოვონ საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებსა და საბჭოთა ადგილობრივ ორგანოებს მათი მუშაობისათვის აუცილებელი მასალები, გეგმები და ცნობები. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში გამოიძახონ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

ბ) მოიწვიონ კომისიის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე კონსულტაციისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტები.

გ) მოსთხოვონ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირებს ინფორმაციები და განმარტებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ცალკეული კანონებისა და დადგენილებების შეუსრულებლობის მიზეზებზე.

დ) მუდმივი კომისიები მჭიდრო კონტაქტში უნდა მუშაობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან, მაგრამ თავისი მოქმედებით არ უნდა შეცვალონ ეს ორგანოები.

ე) მუდმივ კომისიებს არა აქვთ უფლება მიიღონ დამავალდებულებელი გადაწყვეტილებები, მათ წინადადებებს მხოლოდ მაშინ აქვთ ძალა და შეიძლება მათი ცხოვრებაში გატარება, როცა მათ დაამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ან როცა მის შესახებ მიღებული იქნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება.

ვ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების ყველა წინადადება, რომლებიც წარედგინება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახალხო მეურნეობის საბჭოსა და უწყებებს, უნდა იქნეს განხილული და შედეგები განხილვის შესახებ სამი დღის ვადაში ეცნობოს კომისიას.

ზ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები არ სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით და არ არიან დაკავშირებულნი მატერიალურ პასუხისმგებლობასთან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს მუშაობისათვის საჭირო ბინითა და საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

თ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები ანგარიშს თავის მუშაობის შესახებ უდგენენ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, აგრეთვე სისტემატურად ათავსებენ პრესაში მასალებს თავიანთი მუშაობის გამოცდილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, რომლებიც არ არიან მუდმივი კომისიის წევრები, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მათ მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წევრები ამ კომისიების მუშაობის დროს თავისუფლდებიან ძირითად სამსახურიდან შაოდან.

## IV. ცალკეული მუდმივი კომისიების ამოცანები:

**მუხლი 10.** საბიუჯეტო კომისია:

ა) იხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად მთავრობის მიერ შემოტანილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, გამოდის თანამოხსენებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე და იძლევა თავის დასკვნებს სახელწიფო ბიუჯეტის პროექტზე და გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე.

ბ) იხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად მთავრობის მიერ შემოტანილ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტს, გამოდის თანამოხსენებით უმაღლესი საბჭოს სესიაზე და შეაქვს თავისი წინადადებანი ამ საკითხზე.

გ) ხელს უწყობს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების საფინანსო და სახალხო-სამეურნეო გეგმების დროულად შესრულებას.

დ) ხელს უწყობს სახელმწიფო საფინანსო დისციპლინის განმტკიცებას, საფინანსო პროგრამის შესრულებას, სახალხო მეურნეობაში არსებულ ყველა გამოუყენებელ რეზერვების გამოვლინებას.

ე) რეგულარულად ამოწმებს, როგორ ასრულებენ საქართველოს სსრ სამინისტროები, უწყებები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტს, და ეხმარება მათ მის შესრულებაში.

ვ) ამოწმებს, რამდენად სწორად ვრცელდება მშრომელთათვის კანონით დადგენილი შეღავათები გადასახადებზე და სხვა გამოსაღებსა და შესატანებზე. ხელს უწყობს შემნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომ საკითხებზე, რომლებიც ეხებიან დამუშავებაში მყოფ კანონპროექტებს, ხოლო საჯიროების შემთხვევაში იძახებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებს საჭირო ინფორმაციისა და ცნობების მისაღებად.

გ) მონაწილეობას იღებს საკანონმდებლო აქტების დამუშავებაში, აკონტროლებს, რამდენად სწორად იყენებენ რესპუბლიკაში საქართველოს სსრ კანონებს და მონაწილეობს საქართველოს სსრ კანონთა კრებულების გამოცემაში.

დ) სწავლობს მუდმივ კომისიაში საკანონმდებლო საკითხებზე შემოსულ ყველა წინადადებას და იძლევა სათანადო დასკვნებს.

ე) თავის მუშაობაში მუდმივ კავშირში იმყოფება მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, აგრეთვე სასამართლოუფლებრივ ორგანოებთან.

**მუხლი 12.** საგარეო საქმეთა კომისია:

ა) მონაწილეობს იმ საკითხების მომზადებაში, რომლებიც დაკავშირებულია სხვა ქვეყნებთან მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებასთან, აგრეთვე კულტურული, სამეცნიერო, ტექნიკური, სპორტული და სხვა სახის კავშირის განმტკიცებასთან ყველა ქვეყანასთან სუვერენული, სრული თანასწორუფლებიანობისა და სხვა საერთაშორისო საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპით.

ბ) ხელს უწყობს საერთაშორისო ყრილობების, ფესტივალების, თათბირების, სპორტული შეჯიბრებების გატარებას, რომლებიც ესმარებიან ხალხებს მშვიდობისათვის ბრძოლაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, სხვადასხვა ქვეყანათა შორის მეგობრობის განმტკიცებაში, ურთიერთგაგებაში.

გ) მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციებთან შეხვედრის ორგანიზაციაში, რომლებიც ჩამოდიან საქართველოს სსრ-ში მეგობრობის ვიზიტით, და ეხმარება ამ დელეგაციებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებულ მიღწევათა გაცნობაში.

დ) ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობის სხვადასხვა საკითხებზე ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადებას, აგრეთვე მოსახლეობაში მშვიდობის განმტკიცებისა და შენარჩუნებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა გატარებას.

**მუხლი 13.** მრეწველობისა და ტრანსპორტის კომისია:

ა) ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის მართვის შემდგომ გაუმჯობესებაში, მრეწველობის ყველა დარგების განვითარებაში, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესის მიღწევაში და რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში შრომის ნაყოფიერების განუწყვეტლივ ზრდაში.

განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ძმამე მრეწველობის უპირატესი განვითარებისათვის, რაც საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაჭრის საფუძველია.

ბ) ხელს უწყობს სამრეწველო საწარმოებს მათ მიერ საერთაშორისო გეგმებისა და დავალებათა შესრულებაში, ეამარება მათ ყველა შინაგანი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

გ) ხელს უწყობს ქარხნებსა და ფაბრიკებში სამუშაოთა მექანიზაციას, მრეწველობაში სამრეწველო პროცესების ავტომატიზაციის დანერგვას, ღებულობს ზომებს სამრეწველო საწარმოებში ძირითადი და დამმარე სამუშაოთა

კომპლექსური მექანიზაციის განსაბორციელებლად, აგრეთვე მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად და მისი უახლესი ტექნიკით და მოწყობილობებით შესაიარაღებლად.

დ) ყოველგვარ ზომებს ღებულობს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწო კოოპერაციის შემდგომი განვითარებისათვის, ფართო მოხმარების საქონლის ახალ საწარმოთა მოწყობისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების გადიდებისათვის.

ე) ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ამაღლებასა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ვ) ხელს უწყობს რკინიგზის, წყლის, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ზ) ხელს უწყობს ყველა სახის ტრანსპორტის განვითარებას და მათ სწორ ტექნიკურ ექსპლოატაციას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებასა და რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს შორის რეგულარულ მიმოსვლის მოწყობას.

თ) ყოველმხრივ დახმარებას უწევს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს და მრეწველობისა და ტრანსპორტის სხვადასხვა დარგებს შორის სოციალისტური შეჯიბრის გაშლას.

ი) ყოველმხრივ ხელს უწყობს გამომგონებლობის განვითარებას, რაციონალიზატორული წინადადებების დროულად შესწავლასა და განხილვას და მათ დროულად დანერგვას მრეწველობასა და ტრანსპორტზე.

კ) ხელს უწყობს სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა შრომის პირობების შეჯდგომ გაუმჯობესებას, ზრუნავს მათ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების ყოველმხრივ დაკმაყოფილებისათვის.

ლ) ხელს უწყობს მუშა-ახალგაზრდობის სკოლებისა და სასწავლებლების ქსელის გაფართოებას, აგრეთვე მრეწველობისა და ტრანსპორტის სხვადასხვა დარგების მუშათა საწარმოო სწავლებას.

მ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივი კომისია თავის მუშაობაში ეყრდნობა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ადგილობრივი მრეწველობის მუდმივ კომისიებს, სპეციალისტებსა და ფართო საზოგადოებრივ აქტივს.

**მუხლი 14.** სოფლის მეურნეობის კომისია:

ა) ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, სამრეწველო საწარმოთა კავშირის განმტკიცებას რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან.

კონტროლს უწევს, თუ როგორ სრულდება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, როგორ მარაგდებიან კოლმეურნეობები ახალი ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, საწვავითა და სხვა მასალებით.

ბ) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობაში ახალი მოწინავე მეთოდების დანერგვას, მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ამა-

ლების, მეჩაიეობის, მეთამბაქოეობის, მეაბრეშუმეობის, მებოსტნეობის, მებაღეობისა და მევენახეობის განვითარებას, საირიგაციო სამუშაოთა განვითარებას, წყლის სწორად და გეგმიანად გამოყენებას.

გ) ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის ყველა შრომატევადი სამუშაოს მექანიზაციის სწრაფად დანერგვას, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ელექტროფიკაციის, სოფლების კეთილმოწყობისა და საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის შემდგომ განვითარებას.

დ) ყოველმხრივ ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოპოვებულ მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებათა ფართოდ განზოგადებასა და დანერგვას.

ე) ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეს, სპეციალურ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერების პრაქტიკასთან კავშირის განმტკიცებას. ეხმარება სოფელ ადგილებში გაგზავნილ ახალგაზრდა სპეციალისტებს საჭირო საბინაო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში.

ვ) ამუშავებს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ ახალ საკითხებს და თავისი წინადადებები შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

ზ) ყოველ ზომებს იღებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის სოციალისტური შეჯიბრის ფართოდ გაშლისათვის.

თ) თავის მუშაობაში საქმიანი კავშირი აქვს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიებთან, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეებთან.

**მუხლი 15.** სახალხო განათლებისა და კულტურის კომისია:

ა) ხელს უწყობს სკოლების, ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების განვითარებას, აგრეთვე სასკოლო ასაკის ბავშვთა მთლიანად აღრიცხვისა და მათ სწავლებაში ჩაბმას.

ბ) ყოველმხრივ ხელს უწყობს სახალხო განათლების ორგანოებსა და უმაღლეს სასწავლებლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებაში.

გ) ხელს უწყობს სკოლის გარეშე დაწესებულებების (საბავშვო ტექნიკური სადგურების, პიონერთა სასახლეების, სასკოლო მუზეუმების, ბიბლიოთეკების და სხვ.) მოწყობასა და იქ კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენებას.

დ) კონტროლს უწევს თუ როგორ სრულდება სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მასწავლებლებისათვის მიცემული შეღავათები და უპირატესობანი, ზრუნავს პედაგოგიური პერსონალის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე და ხელს უწყობს მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და თეორიული დონის ამაღლებას.

ე) ხელს უწყობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას. (კლუბები, კულტურის სახლები, თეატრები, კინოთეატრები, მუზეუმები, სალექციო ბიუროები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და სხვ).

ვ) ხელს უწყობს წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების გავრცელებას, წიგნების მაღაზიებისა და კიოსკების გახსნას, რადიოქსელის გაფართოებას და კინოფილმების რეგულარულად ჩვენებას განსაკუთრებით სოფელ ადგილებში, მხატვრული თვითმოქმედების ორგანიზაციასა და განვითარებას, აგრეთვე ლექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებისა და მოხსენებების ჩატარებას კომუნისტური აღზრდის სხვადასხვა თემებზე.

ზ) ხელს უწყობს სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, აგრეთვე სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობისა და რემონტის ჩატარებას.

თ) მუდმივი კომისია თავის მუშაობაში ეყრდნობა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო კომისიებს და თავისი ღონისძიებების გატარებაში აბამს ფართო საზოგადოებრივ აქტივს.

**მუხლი 16.** ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისია:

ა) ხელს უწყობს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, მედიცინის მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევების საფუძველზე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო და პროფილაქტიკური მუშაობის დონის ამაღლებას.

ბ) ხელს უწყობს სამედიცინო და საბავშვო დაწესებულებათა ქსელის მშენებლობასა და გაფართოებას, განსაკუთრებით, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, და თვალყურს ადევნებს სამედიცინო მუშაკებით მათ დროულად და სწორად დაკომპლექტებას.

გ) ყოველმხრივ ხელს უწყობს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელის გაფართოებას, გამაჯანსაღებელი მუშაობის გატარებასა და რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში სათანადო სანიტარული წესრიგის დამყარებას. ახორციელებს სანიტარულ კონტროლს კვებისა და სავაჭრო საწარმოებზე, აგრეთვე საზოგადო კვების ქსელზე.

დ) ფართო პროპაგანდას ეწევა სანიტარულ-ჰიგიენური ცოდნის გასავრცელებლად, პრესისა და რადიოს საშუალებით აწყობს ლექციებს სხვადასხვა სამედიცინო თემებზე და ზრუნავს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის აქტუალურ საკითხებზე პოპულარული ბროშურების გამოსაცემად.

ე) თვალყურს ადევნებს, რათა სწორად იქნას გატარებული კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, რომლებიც ეძლევათ მუშებსა და მოსამსახურეებს მოხუცებულობისას, ინვალიდობისას, შრომისუუნარიანობის დროებით დაკარგვისას და იმ ოჯახებს, რომლებმაც დაკარგეს მარჩენალი, აგრეთვე სწორად მიეცეთ დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, ხელს უწყობს ინვალიდთა და მოხუცებულთა სახლების მოწყობას და კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესებას.

ვ) ეხმარება სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში, ინვალიდების სამუშაოზე მოწყობაში, თვალყურს ადევნებს, რათა საწარმოებში სრულდებოდეს ტექნიკური უშიშროების წესები. მონაწილეობას ღებულობს პროფესიულ დაავადებათა და ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებაში.

ზ) ხელს უწყობს მედიცინის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მოწყობას, საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში სამუშაოდ მიმავალ ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) ეხმარება ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკურ ორგანოებს უკეთ დააყენონ ადგილობრივი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ხელმძღვანელობა. ზრუნავს ამ დაწესებულებათა ახალი სამეურნეო პროფილაქტიკურ საშუალებებითა და თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობებით უზრუნველყოფისათვის.

ი) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისია თავის მუშაობაში ეყრდნობა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიებს, ნებაყოფლობით საზოგადოებებსა და ფართო საზოგადოებრივ აქტივს.

**4. ბრძანებულება საქართველოს სსრ ბოლნისის რაიონში სოფელ რაჭის უბნის შექმნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ბოლნისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება ბოლნისის სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე რესპუბლიკის სხვა სოფლებიდან მოსახლეობის გეგმიური წესით ჩასახლების გამო შექმნილი დასახლებული პუნქტის სოფელ რაჭის უბნად წოდებისა და მისი ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 7 ივნისი.

**5. ბრძანებულება ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ**

თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის და ქ. თბილისში სომხური დრამატული თეატრის დაარსებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

**საქართველოს სსრ სახალხო არტისტად:**

1. ამირბეკიანს არტაშესს ბეგლიარის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მოჯორიანს მარიამ პეტრეს ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებული ტისტს, ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

**საქართველოს სსრ ხელოვნების დაჸსახურებული მოღვაწისა:**

1. მკრტიჩიანს ნიკიტა გრიგოლის-ძეს — მუსიკალური ნაწილის გამგეს, ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის კომპოზიტორს.

**საქართველოს სსრ დაჸსახურებული არტისტისა:**

1. აკოფიანს ვენერა იოსების ასულს — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
2. კაჯვორიანს აშოტ პეტრეს-ძეს — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
3. სტეფანიანს ემა მელიქის ასულს — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 7 ივნისი.

**6. ბრძანებულება ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის ჩუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით**

თეატრალური ხელოვნების განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის და ქ. თბილისში სომხური დრამატული თეატრის დაარსებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აბარიანი ალექსანდრე ავაქის-ძე — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი
2. აბრამიანი სიმონ პეტრეს-ძე — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის სადადგმო ნაწილის გამგე

3. არუთინიანი ალექსი ეგიზარის-ძე — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის სცენის მემანქანე

4. ბერიანი მარიამ გიორგის ასული — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობი

5. ბეიკიანი ფერდინანდ პავლეს-ძე — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი

6. ეხშატიანი ვაგრამ აშოტის-ძე — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობი

7. ვრუირი წაღიკ არამის ასული — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობი

8. ლუსინიანი არტემ გიიკის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობი

9. მამიანი იოსებ ასატურის-ძე — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის დირექტორი

10. ნიკოგოსოვი ნიკოლოზ მიხეილის-ძე — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის უფროსი კონტროლიორი

11. პაპოვიანი რაფიკ მნაცაკანის-ძე — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობი

12. ჟამკოჩიანი ასმიკ სურენის ასული — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობი

13. შეკოიანი სერიკ იაკობის ასული — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

0197

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ტუბინაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 7 ივნისი.

. უწყებები № 3.